



ჯანმრთელობის სამინისტრო ზოგჯერ კადრებს ანაწილებს არა სპეციალობის, არამედ მათი ჯანმრთელობის მიხედვით.



ნახ. გ. ფირცხალავასი

### ჯ ა ნ ბ ა ნ ი

ბიჭმა ერთ-ერთ რაიონში იმკურნალა რა ხანია, ჭანიც აქვს და განიც უკვე რაიონის ჭანგანია!

ის კი ახლა მიავლინეს თვითონა ჰგავს საექიმოს... საექიმო სხვას ექიმობს, კაცს როგორ არ გაეღიმოს!?

ს ი ა ნ ბ ი





სიყმაწვილემ ვის არ უთამაშნია კოკი. კოკის ორ მხარეს თოხანი და ალჩუ ჰქვია. როცა ეს კიდეები საგანგებოდ გაგლეხილია, მას ქლესას უწოდებენ. ქლესა ზაითუნად იწოდება, მუდამ ჯდება.

ამიტომაც ქლესას აქტიურად არასოდეს ათამაშებენ, რადგან მოთამაშენი მას „ნაესს“ უწოდებენ. ქლესას დაყენებენ და სხვა კოკს ისერიან ხოლმე.

ამიტომაც შეერქვა გაიძვერასა და „გამოკახარაკებულ“ კაცს ქლესა. ქლესას საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია აქვს. იგი ხან სამუშაოთა მწარმოებელია, ხან სამწიფო ნაწილის გამგე, ხან ლულის გამყიდველია, ხან ფურნის გამგე, უწევს საქმიანობის გამო დაითხოვენ, ქლესა ისევ ალჩუს დაჯდება, გაძვრება, გამოძვრება, იქაქანებს, იქლესავენს და მუშათა მომარაგებაში ამოკოყუს თავს, აქედან გამოაპანლურებენ, ახლა წიგნების გამყიდველის ჩანთას ვადაიკილებს, როგორც კი შეატყობს, რომ წყალი შეუღება, წამსვე ხმას დაარხვეს, სამი განცხადება შეტანილი მაქვს, მაგრამ არ მანთავისუფლებენ, რადგან აგრე ამბობენ: შენისთანა მუშაკს სადღა ვიშოვიეთ, ბოლოს „გაანთავისუფლებენ“ (წაიკითხეთ: ვაგდებენ). ერთ მშვენიერ დღეს კორექტორობას დაიწყებს რომელიმე გამოცემლობაში, რადგან დარწმუნებულია, რომ კორექტორობა ანბანი თუ კარგად იცის, სხვა აღარაფერი ესაუბრობება მას.

ამას არ დასჯერდება, ჰატარ-პატარა ბიბლიოგრაფიების დაბეჭდვასაც მოსინჯავს. უფრო მეტი: უკვე დაწერილ რომანებიდან პიესების ვადმოკეთებასაც აპირებს. ქლესა ამტკიცებს: ჩვენ ისეთი რეჟისორები გვყავს, შამაო ჩვენოსაც კარგად დასდგამენო. ძველ სამსახურში ისევ შეუღდება წყალი, ახლა თავთ ანებებს სამსახურს თავს და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაში მოეწყობა მწეღ, სავსებით დარწმუნებული, რომ ყრუები ვერაფერს გაიგონებენ და მუნჯებმა კადეცა რომ მოინდომონ, ვერ გამოაქლავებენ მის „საგმირო საქმეს“.

ქლესა „დაბალ ლობებთან“ მივინვარი ლომია, უმიზეზოდ გალანძღავს ოფიციალს, ან იმ სახლის მეზობელს, სადაც თავთ ცხოვრობს, თავის ხელქვეითებს წარაძარა ქირდავს, ზონსასა და გაპანლურებს ჰპოლდება ყოველდღე, სამაგიეროდ თავის უფროსების წინაშე მუცელზე ხობავს.

ქლესა ნაბახურევი ქუჩაზე მიდის, პოსტზე მდგარ მილიციელს მიესალმება და პაპიროსის მოწვევის ნებას სთხოვს, ღამდამობით კი, თუ ქუჩაზე მარტო დარჩა, მშვანე ნარკავებს შტოებს ამტვრევს.

როცა თავის დირექტორს გადაეყრება სადმე, ჯერ ჩაცმულობას უქებს, თუ დირექტორი იმ დღეს გაპარსული აღმოჩნდება, „წაუქლესავენს“: რაც უფრო ხანში შედიხარ, უფრო ღამაზდებიო. მერმე უქებს ახლად მიღებულ მანქანას, სანადირო თოფს, ან ძალს.

ასე ეტოკტივება თავის უფროსს, თანაც დიდის რულუნებით კრეფს მის ახალ კოსტიუმზე შემთხვევით დაცვენილ ქინქლსა და ბეწვს.

სადმე დღეობაზე თუ შეხვდა დირექტორს, იმდენს უბრიკებს, ნარდში გაეთამაშება, ვანშამს წაუტეხს უთუოდ. დირექტორი დემოკრატი კაცია, იძულებულია პურ-მარილი მიიღოს. დირექტორისა და მისი ოჯახისათვის „პატრივის-მისაგებად“ გამართულ ნადი, ცხაღია, თამადალ თავთ დადგება ქლესა. ერთბაშად გადაახტება თავის მოხუცებული დედისა და სიდერის სადღეგრძელოს, გამოაგდებს ენას და ისეთ ტალანტებს მიაწერს თავის დირექტორს, რომელთა შეძენისათვის მას არც კი უფიქრია.

ქლესამ კარგად იცის, რომ მისი დირექტორი სტატისტიკას კითხულობს სადღაც, ჯერ გამოაცხადებს მას „ჩვენი დროის უდიდეს მეცნიერად, რომელსაც არა მარტო საქართველო, — მთელი კავშირი იცნობს“. ამას არ დასჯერდება, აღიღებს მის დიდ ტალანტებს, პატრიოტიზმს, ვიკაცობას და ასე შემდეგ.

ისევ წამოდგება ყანწით ხელში ქლესა, ხობბას მიუძღვნის დირექტორის ჩაკურატებულ მეუღლეს თამარს, ფურკამერსავით: უხემ დედაკაცს, უმეკველად თამარ მეფის სინარჩარეს და სიმშვენიერეს მიაკუთვნებს მას, ბოლოს დირექტორის ოროსან ვაქს, რომელსაც მტრედების დედისა და კოკის თამაშის მეტი არაფერი გაუკეთებია ჯერ, „მომავლის იმედად და სანიმუშო ყმაწვილად“ გამოაცხადებს.

ამას წინათ ქლესა გადამყარა რუსთაველის პროსპექტზე. ვილაც სქელი კაცი მიეყუდებინა ხეზე, მისდგომოდა და ლექსებს უქებდა. თავის უფროს ვაქს — ნურის იფიცებდა, ილიასა და აკაკის შემდეგ ჯერ ასეთი ლექსები არავის დაუწერიაო.

ჩემს დანახვაზე საუბარი შეანელა, თავაზიანად გამოეთხოვა, თანაც დააბარა დიდი სალამი გადაეცია შენს მშვენიერ მეუღლეს, ენიას.

როცა მარტო დავრჩით, ქლესა ჩემი კომედის ქებას შეუდგო. უკუვადამარიდა: „უსაქმობას მოეწვი, აბუსერ, და კომედების წერას შეუდეგი. ამას წინათ ვნახე შენი კომედია „ამაო შომა“, იმდენი ვიცინე, კუჭნაწლევი გამომინელდა, რეჟისორსაც რა კარგად გაუფორმებია იმ სახედალს! სამიოდეც რომ დასწერო, ვის დაკარგვია მოლოერი, შენთან შედარებით“. მე გამეცინა გუნებაში: ჩემი კომედია ჯერ არსად დაუღებამთ, სიზმარში ხომ არ ნახა-მეთქი იგი ქლესამ.

გამახსენდა: მეთევზეთა ტრესტის დირექტორის მოადგილე ჩემი ნათესავია, გუშინწინ ქლესამ მთხოვა დამერეკა მისთვის, რათა ქლესა საქმეთა მმართველად მოეწყოთ (არ დაგვავიწყდეს, რომ ამასობაში ყრუებსაც შეუსმენიათ მისი ოინების ამბავი და მუნჯებიც ალაპარაკებულან).

„ვინ იყო ის სქელი კაცი, წელან რომ უქებდი ლექსებს?“. „უდიდესი ილიოტი!“ — მოკლედ და უხალისოდ მომიპირა მან.

ამ ბოლო ხანს ქლესა დამეკარკა თვალადან. გუშინ მესტიიდან დეპეშა მოუვიდა ჩემს ნათესავს, უშვერიძეს, რომელსაც სიდერის მოუკვდა, ქლესა სვანეთს წასულა, რათა სამიძირის დეპეშა გამოეგზავნა თავის მომავალ უფროსისათვის.

მე გამივიწყრდა: უფრო შორს რად არ წავიდა ამ საქმისათვის ქლესა.

### V. „ს ს ტ პ ა ტ რ ი ი ტ ი“

თუ დიდმა ილიამ „სტუტენინა“ დაგვიხატა, აბუსერ აბუსერიძე ვაბედავს და შეეცდება „სტუტპატრიოტი“ ანუ ცრუპატრიოტი წარმოგიდგინოთ.

სტუტპატრიოტი თავის პურ-მარილით ცნობილია, როგორც მოგვსებნებით.

პურობის დაწყებისას ჩაის კიქას აიღებს და უფროსების სადღეგრძელოს დააძალებს სტუტრებს, სრულიად დარწმუნებული, რომ ასეთი „გმირობა“ სამშობლოს წინაშე ვალის მოხდას ნიშნავს.

როცა ლაზათიანად გამოთვრება და მაგრად ამოიყორავს სტომაქს ჯიხვის ყანწს ხელს წამოაღებს და ქართული ხალხის სადღეგრძელოს მიირთმევს, მერმე მისდგება და მალაღუარდოვანი სიტყვებით აღიღებს საქართველოს.

სტუტპატრიოტი ხელგამლილია, თუმცა მუდამ წუწუნებს ფული არა მაქვსო; თუ რამე ასეხებ, ვალს უკან აღარ დაგიბრუნებს, თუ შეახსენებ: ძენწიო იტყვის.

თავის დანახვას შემნახველ სალაროს არ ანდობს. ჩემს ჯიხვში უკეთ მოეწყობაო ჩემი ფული.

თანაც ამტკიცებს ფული ეშმაკისააო.

როცა რომელიმე ახალ მშენებლობაზე სიტყვა ჩამოვარდება, სტუტპატრიოტი უკმაყოფილო ბუზღუნა მორთავს: ეჰ, გული წაიღო გაუთაფებელმა მშენებლობამ, ქალაქში მტვერი დგას, ყურთასმენა აღარაა ამდენი კაკუნისაგან.

სტუტპატრიოტი ახალ წიგნს არ იძენს, კლასიკოსების შემდეგ რა დაიწერებო კარგი, არც ვაზრთ გამოიწერდა თავის ადგილკომის. რომ არ ეხატებოდეს. „ნინაგში“ მოხვედრის ეშინია, კორესპონდენტები არ უყვარს. მისი ცოლი რამდენიმე წლის მანძილზე უშედეგოდ აწონებდა კინოსტუდიას თავს, ახლა პიანისტობა მოინდომა, სტუტპატრიოტმა ტალახი აუყენა მუსიკის პროფესორებს: ილუბება უდიდესი ნიჭი, ოპერაში გამოეშვიო ჩემი ცოლი.

მისი ვაჟი მუდამ პროტექციითა და ღრეკით გადადიოდა კლასიდან, კლასში, ბარე სამი რეგისტრაცია აქვს ამ ყმაწვილს ანგლობისა და ხულიგნობის გამო. ცოლი უნივერსალიდან მოხერხებით გამოტანილ საქონელს კომისიონერების საშუალებით ბაზარზე ყიდის. მოუხედავად ამისა, სტუტპატრიოტი ამტკიცებს ჩემი ცოლ-შვილი მოწინავეაო მთელ ქალაქში. სტუტპატრიოტს ერთადერთი სახატე აქვს: პურ-მარილი.

იგი ამტკიცებს, თუ ძველი სამყარო ხარის რქაზე იყო დაყრდნობილი, ახალი — პურ-მარილის უქირავსო. ვინც ცველაზე მტრ ღვინოს სვამს, სტუტპატრიოტის აზრით, იგია უდიდესი ვაქკაცი და ნამდვილი ქართველი, ხოლო ვინც ღვინოს ერიდება და ბორჯომის წყალს არჩევს ის — ლაჩარია.

ამას წინათ ეს მითხრა სტუტპატრიოტმა:

უქმებზე დავჯექი და გამოვითვალე: თურმე ამ 50 წლის მანძილზე 50.000 ლიტრი ღვინო დამიღვია.

მიდი ხვალ ჩემს დღეობაზე, ეს ამბავი როგორმე უნდა აღენიშნო.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და წავედი ამ იუბილეს სანახავად. ნადიმს სხვა სტუტპატრიოტიც დაესწრნენ, დიდი ჯამები დაატრიანლეს, „პატრიოტული“ სიტყვები ალაღვინეს, აღიღეს საქართველო და ტკბილად დაიძინეს „სამშობლოს წინაშე ვალმოხდილებმა“.

საუხარო საუხარო





# შორეული ამბები

გვიჩი და განვითარება

როგორც უცხოეთის გაზეთები იტყობინებიან, კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა ამასწინანდელ კონტრ-შეტევის დროს, გარემოცვაში მოხვდა ამერიკელთა მიერ მიტოვებული ინგლისელთა 29-ე ბრიგადა, კანადის, ბელგიის, ფილიპინელთა ათასეული და თურქეთის ბრიგადა. თურქეთის ბრიგადამ ორი დღის განმავლობაში დაკარგა 273 კაცი, ხოლო მესამე ათასეულის მეცხრე ასეულიდან მხოლოდ ათი კაცი გადარჩა.

საოცრად გაიწვრთნა და გამოიწრთო ბრძოლებში თურქული ნაწილები. აღრინდელი შეტევების დროს თუ ამბის წამომღებიც აღარ რჩებოდათ, ახლა ათში ერთი გამოქცევის გმირია, ცხრა კი — განვითარებული!

## იგი წაგა და სხვა მოვამ...

ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, რომ „საფრანგეთის რაიონებში მოჰყავთ ამერიკის ჯარები, რათა შექმნან იქ სამხედრო ბაზები, აეროდრომები, საწყობები და სხვა სამხედრო ობიექტები. წარმოებს მზადება კუნძულ ოლერონზე ამერიკის აეროდრომის მშენებლობისათვის. ეს პატარა კუნძული მდებარეობს საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე, მდინარე შარანტის შესართავის პირდაპირ. აეროდრომის ასაგებად საჭირო გახდება მთელი რიგი სახლების დანგრევა, ბაღების, ყანებისა და ვენახების — გლეხთა მრავალი წლის შრომის ნაყოფის მოსპობა, რაც გლეხობას გაჩინავებს უქადის“.

დაფიქრდება ახლა ფრანგი გლეხი, გაიხსენებს ჰიტლერულ ბანდიტთა „სტუმრობას“ და იტყვის:

— დიდება შენთვის, მუსიე კეი, გინდა მგელს შეეუჭამივარ, გინდა მგლისფერ ქოფაკს!

## უანდაკის ოცნება

დანის პოლიციის ინსპექტორმა სენ ხოლტენმა წამოაყენა წინადადება: ევროპაში ყველა ბავშვისათვის აელოთ თითის ანაბეჭდი და მათ შესანახად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაეწესებინა სპეციალური კანტორა. ამით შორსმკვრეტელ უანდაკს სურს აღრიცხვაზე აიყვანოს ევროპის მზარდი თაობა, რადგან საკუთარ საქმიანობაში მიღებულ შთაბეჭდილებით ეჩვენება, რომ ქვეყნად არ შეიძლება პატიოსანი ადამიანი დაიბადოს.

მაგრამ, ვფიქრობთ, ვიდრე მოზარდები გაიზრდებიან, მშვიდობისმოყვარე ადამიანთა რიგები იმდენად გაიზრდება, რომ თვით სენ ხოლტენს აუღებენ თითის ანაბეჭდს და თავს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკრავენ.


## დაუმთავრებელი სია

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა სენატის სპეციალური კომისიის მოხსენება ამერიკაში მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს 200 გვერდს და „დაწვრილებით“ არის ჩამოთვლილი ყველა ქურდის თუ თითის ოსტატის ნაშრომდარი. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მსხვილ, ფართო მოქმედების ოსტატ ბანდიტთა ორგანიზაციას „მატიას“ და სხვა ასეთებს. რომლებსაც ზოგიერთ უცხოელ საეკო ელემენტებთანაც კი აქვთ კავშირი.

მაგრამ აშკარად სტყუიან სენატის კომისიის წევრები. მათი შედგენილი სია დაუმთავრებელია, რადგან გამოტოვებულია თვითონ მათი გვარები. განა ამერიკელ მთავარ, საერთაშორისო ბოროტმოქმედებათა — უოლსტრიტელთა სიიდან გამოტოვება, ყველაზე დიდი ბოროტმოქმედება არ არის!?

ნან. გ. ლომიძისა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



## ჩაკორსმენთა დილომა

— რამ ჩაგაფიქრა, თახსინ ეუენდი, აგრე, რა ამოიკითხე გაზეთში?

— სპორტის ამბებმა გამაკვირვა, ძმებო, — კილაც გებერგს, დასავლეთ გერმანიაში მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია!

— მერე და შენ რა გადარდებს? ხომ არ ფიქრობ შეუჭიბრო...?

— რატომაც არა.. მან თუ 54 დღე, 4 საათი და 5 წუთი გასძლო, ჩვენ რამდენი წელიწადია ვუძღებთ შიმშილს...

— რა გაუგებრად დაპარაკობ, თახსინ, გეტყობა, შიმშილმა მართლაც სრულიად გამოგატვინა.

— იმ სპორტსმენს შიმშილის მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია და ჯიდლოც მიუციათ მისთვის, რა არის აქ გაუგებარი... სამართადი რომ იყოს, შიმშილის რეკორდი ჩვენ გვეკუთვნის და არა მას...





# მაცვალო

კინალამ სამუდამოდ უცოლო დარჩა ოთარ ბუაძე. საფეთქლებთან თმა შეევერცხლა, ოროც წელს გადააბიჯა და გულის ტოლი კი ვერ აირჩია.

სტაფილოსფრად თმაშეღებილი ქალიშვილები გულს უღონებდნენ, წითელი ფრჩხილებით აშფოთებდნენ, ფერ-უმარილით ხომ სულიერ სიმშვიდეს მთლად უკარგავდნენ.

სულ სხვანაირ ქალს დაეძებდა ოთარი: სადას, შავგვრემანს და მოკრძალებულს. მოკლედ რომ ვთქვათ, ოჯახის ქალს.

არც კონცერტებს აკლდებოდა, არც ოპერისა და ბალეტის პრემიერებს, მაგრამ, ახალ-კაბის საჩვენებლად გამოფენილ ქალთა შორის, ასეთი სადა ვინმე, რომ კიდევ ყოფილიყო, მამაკაცის ყურადღებას როგორ მიიპყრობდა.

როგორც „მარტოხელა“ და უნათესაო. ოთარ ბუაძე თბილისის მყუდრო ოჯახების იშვიათი სტუმარი გახლდათ და ინსტიტუტის პასაკსაც გადაცილებული. ხოლო ჩვენს დაწესებულებებში მომუშავე ქალების საქმიან გამოხედვას მატებარის თვალთ როგორ შეჰბედავდა ისედაც გულდამფრთხალი კაცი.

ერთი სიტყვით, ამ საკითხში განწირული გახლდათ, გაურკვეველი, და თავის გულის ტოლს მუდამ იქ ეძებდა, სადაც შეუძლებელი იყო მისი აღმოჩენა, თორემ საქართველოში სადას, შავგვრემანს და მოკრძალებულ ქალს კაცი როგორ ვერ შეხვდები!

ყველამ უკვე ხელი ჩაიქნია, მისი დაოჯახების იმედი დაეკარგათ, მეგობრები ხუმრობით უკვე „შინაბერს“ ეძახდნენ... როცა: ლიხს გადაღმა მივლინებულ ოთარს ბედმა გაუღიმა და ერთ-ერთი მივარდნილი სოფლის ერთ ოჯახში მაყვალას შეხვდა, სადას, მოკრძალებულს და შავთვალ-წარბა გოგონას.

— სწორედ ეს არის რაც მინდოდაო, — გაიფიქრა ოთარმა და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი ადვილად გადაწყვიტა.

მშვენივრად მოეწყო ცოლ-ქმარი. ავეჯი და ქურქული შეიძინეს. მეგობრებმა ოჯახი დაულოცეს: — გამრავლით, გაიხარეთ, ერთმანეთს მზე და მთვარესავით შეაბერდითო. — და ყველაფერი რიგზე წავიდა. ქვაბში კერძი ჩუხჩუხებდა და ოჯახში დიასახლისი ფუსფუსებდა.

— აი, მესმის ქალი, განა პუდრსა და პომადაში გადაჭურის ფულს? ბუნებით ნაბოძებ ფერ-ხორცსა და სახის იერს ჯერდება, — ფიქრობდა თავისი არჩევანით კმაყოფილი ოთარი.

ქორწილის შემდეგ სამ დღესაც არ გაუვლია, რომ ოთარი კვლავ ლიხს გადაღმა მიავლინეს.

— აბა, შენ იცი, მაყვალა, ჩემს ჩამოსვლამდე თუ არ მოიწყენ! ფანჯარაში მინც გადაიხედე ხანდახან, ხალხის ცქერა გაგართობს, — უთხრა ოთარმა და როცა წამწამებდახრილ მაყვალას გამოეთხოვა, გულში გაიფიქრა: არც ასეთი სოფელა ვარგა, როცა მოვიცილი, ოდნავ მინც ხალხს და ქალაქს უნდა შევაჩვიო.

რომ იცოდეთ როგორ მოიქაროდა ოთარი თბილისში! და აბა, როგორც სკო, გულის გამწყალებლად გრძელი მივლინების ორკვირეულიც ამოიწურა და თბილისში ჩასული ოთარი თავის ბინას გულისცემით მიუახლოვდა.

— ალბათ სუფრა გაშლილი დამხვდება, საცივს დაგახვედრებო, — მოაგონდა ოთარს ცოლის დაპირება, გემრიელად ააცმაცუნა ტუჩები და ნაბიჯს უმატა. არ დარეკა, კარი თვითონ გააღო და... ზღურბლზევე გაშეშდა.

სუფრა გაშლილი კი არა, სულ არ იყო ოთახში. არც ხალიჩა იყო კედელზე, არც ნიკელის საწოლები ჩანდა. იატაკზე უწესრიგოდ ეყარა ლოგინი, ბალიშებიდან ამოფრენილი ბუმბული ფანტელებივით დაფრინავდა ჰაერში.

— ალბათ გამძარცვეს, — გაუფლვა ოთარს, როცა ოთახში სტაფილოს კი არა, ზაფრანისფერ კულულებიანი ქალი შენიშნა, რომელიც მუცელგაბერილ ჩანთაში რალაცას ალავებდა.

— ხელები მალა! — შეჰყვირა ოთარმა და ქურდს გაშმაგებით მივარდა, მაგრამ უმალვე ხმა ჩაუწყდა.

— რა დაგემართა, ოთარ, ვერ მიციანი? ხა-ხა-ხა-ხა, ეგრე არ სჯობს? — უთხრა მაყვალამ და აღისფერ ფრჩხილებიანი თითებით ზაფრანისფერ კულულებს შეეხო.

— სჯობს, სჯობს! — დაიკენესა ოთარმა და სავარძელში ჩაიკეცა.

— იცი, გეთაყვა, ფული არ მეყო, მაგიდა, საწოლები და ხალიჩა გავყიდე, სამაგიეროდ ნახე რა შევიძინე! — აქიქეკდა მაყვალა და სასყიდლების ჩვენებას შეუდგა.

— აი სამაჯური, აი უნგრული ტანკეტკები, ნაილონის ბროლის ჩულქები, კაბარდინის პალტო, პირბადიანი ქუდი... რას მიყურებ ეგრე გაცეებით? კულტურულ ქალს რომ ყველაფერი ეს გააჩნდეს, ხომ ჩვეულებრივი ამბავია, ნუთუ ამდენი არ გესმის! — აამერა ხმა მაყვალამ და აპრეხილი წამწამები დაუხამხამა.

— მესმის, მესმის! — დაპირილი ვეფხვივით დაიღრიალა ოთარმა და თავში მუშტები წაიშინა. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ახალმოდით ავადმყოფური ვატაცება და ზიზილ-პიპილებით მორთვა ყველაზე მეტად სწორედ პროვინციალს ახასიათებს.

თამარ ჩხიძე







# ო ბ რ ი

საკმაოდ ბევრია თბილისში სამკერვალო არტელი. შეკერვის ფასიც ხელმისაწვდომია და არც ვადაა დიდი. მოდი და ნუ ისარგებლებ, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩემ ლურჯ კოსტიუმს სამი წლის ერთგული სამსახურის შემდეგ თავისი ძველი სახე შეეცვალა და ჯანგის ფერმა დაჰკრა.

— გადავებრუნებ-მეთქი, — გავიფიქრე და სამკერვალოს მივადექი. ეს იყო ორ აპრილს.

— აბა, შენ იცი, როგორ ჩქარა შემიკერავ! — ვუთხარი ხელოსანს.

— ჩენიანებისათვის რას არ გავაკეთებ, ვასანინჯად ერთ კვირაში გამოიარე. — მითხრა მან. სიმპათიურ კაცად მჩვენა. ის კი ვერაფრით ვერ გავიხსენე, საიდან ვიყავი მისთვის ასეთი ახლობელი, როგორც შემარქვა. ერთი კვირის შემდეგ გამოვეცხადე.

— ორშაბათს მოხვალ, გაისინჯავ, — წარმოთქვა მან ცივად.

აბა, პირველ ტყუილს მკერავს ვინ არ აპატიებს-მეთქი? — ვინუგეშე თავი.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ მის მაგიდასთან ვიყავი ატუხული.

— ბოდიშს ვინდი, ხელი არ მომიკიდია შენი კოსტიუმისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ კი ნაღდად გაგასინჯებ. — უღარდელად მომიგო მან.

— დღეს თერთმეტია, არა? ჰო! — თვითონვე უპასუხა, — ასე — 17-18-ში გამოიარე, აჯობებდა 19 ან 20-ში, 22-ში თუ მოხვალ, უფრო კარგს იზამ, ნაღდად იქნება. 23-ზე ან 24-ზე რას იტყვი? იქნებ უფრო მოგიხერხდეს, გაგასინჯებ და გეტყვი კიდევ როდის იქნება მზად.

— რას გეტყვი, იცი?.. აჯობებს ჩემი კოსტიუმის ვა. სინჯვას თავი დაანებო და თვითონ გაესინჯო ექიმს. — ვუთხარი უკვე გულმოსულმა და უკან გამოვბრუნდი. სახზე აღმური მეღებოდა. გზაში ამხანაგი შემომხვდა.

— არტელში დაწესებულ საფასურს იხდი? — მკითხა მან, როცა ჩემი კოსტიუმის ამზავი გაიგო, — დიდხანს მოგიხდებოდა ლოდინი!

— შეკერვის ვადა თავდება, ასე ადვილად ვერ მომატყუებენ.

— ვადაზე აღრე შენ გაგათავებენ იცოდე, გირჩევ შეპირდე რამეს. — მიჩია მან.

დანიშნული დროც მოვიდა და კვლავ არტელში ამოვეყვი თავი.

— გამოკერი? — ვკითხე ხელოსანს.

— შე კაი კაცო, ჯერ ხომ ზომაც არ ამიღია, გამოკერაც ჩქარა იქნება, ცოტა აქეთ მოდექი, — მითხრა და მარჯვნივ გადამაადგო. — თავისუფლად ჩაისუნთქე, ხელები ვაშალე, ჩამოუშვი, — დროდადრო მესმოდა განკარგულებები, უსიტყვოდ ვემორჩილებოდი.

წამოსვლის ხანს გავაფრთხილე, რომ ერთი თვით მივლინებაში მივიდიოდი, ჩემს ჩამოსვლამდე მაინც დაემზადებინა.

— არ გინდა ლაპარაკი, შევთანხმდით, ჩამოხვალ — გაისინჯავ, — მითხრა და ხელზე ხელი შემომკრა.

— როგორ? კიდევ არ არის მზად! — ეჩხუბებოდი მას ერთი თვის შემდეგ. — ცხენის ძუა, ტილო, ძაფი, ნარმა მოიტანეო რომ მეტუბნები, სად ვიშოვო? ახლა იქნებ ცხენის ყიდვაც დამპირდეს. ეს მასალა თქვენ არ უნდა გქონდეთ?

— რას იძლევი რომ ვგრე დავინარჯოთ? — შემომწყრა იგი, შემდეგ ხმას დაუწია და ჩუმი ხმით მითხრა: — ჩემზე არაფერს ვიტყვი, ხელოსანს არ უნდა მისცე რამე?

— კარგი, მე ვიცი იმასრა უნდა მივცე, — ვუთხარი მოთმინებიდან ვამოსულმა. თვალები გაუბრწყინდა.

— ვგრე გეთქვა, შე კაი კაცო! ხვალ გამოიარე! — მომძახა მან.

მისი უკანასკნელი სიტყვები კარგად არც გამიგონია, კარები გამოვიჯახუნე. მთელი დღე ვფიქრობდი როგორ გადამეხალა მისთვის სამაგიერო. მეორე დღეს თავმჯდომარის ადგილსამყოფელს მივადექი. ჩოჩქოლი შემომესმა. ოთახიდან ქალები გამოვიდნენ, თავმჯდომარის ანგარიშზე რამდენიმე სალანძღავი სიტყვა გადარიცხეს და შენობას გასცილდნენ.

— რაშია საქმე? თქვენ უფლება არა გაქვთ ასე დაგვიანოთ შეკვეთების დამზადება. ეს ცუდი ხელმძღვანელობის შედეგია. — ყვირილით შევვარდი არტელის თავმჯდომარის კაბინეტში.

— თქვენც საჩხუბრად მოხვედით? — მითხრა მან თავის ქნევით და სკამზე მიმითია, — დაბრძანდით, დაწყნარდით.

— რა დამაწყნარებს, კაცო? სამი თვეა კოსტიუმი მოგიტანეთ გადასაბრუნებლად და იმაზე აღრე მგონი მე ვადავბრუნდი, აღარ დააღვა საშველი.

მან ხელოსანს გამოუძახა.

— აქ რა გინდა? ჩემთან მოდი, გენაცვა! — მომიახლოვდა მკერავი, ხელში გასასინჯად გამზადებული ჩემი კოსტიუმი ეჭირა.




მოულოდნელობისაგან ელდა მეცა. როგორ? რანაირად? — ვიკითხე გაოცებულმა, არტელის თავმჯდომარეს ბოდიში მოვუხადე „დაუმსახურებელი“ გალანძღვისათვის და ხელოსანს მოჯადოებულვით ვავეყვი.

ორ დღეში კოსტიუმი მზად იყო, წამოღებისას მან ისეთი თვალით შემომხედა, თითქოს ბოდიშს მისიღია — მაპატიე რაც გაწვალეო.

— არა უშავს, რაც იყო, იყო, — შევეუნდე მე. — ჩემთან პატივისცემა არ დაიკარგება.

— არც დამეკარგება, არც მივიღებ, არა? — მითხრა და მომიახლოვდა. — ხელოსანს არაფერს აძლევ? რომ დამპირდი კარგი, მე ვიცი იმას რასაც მივცემო, შენი სიტყვები არ არის?

გულისწყრომით და მუქარით ნათქვამი „კარგი“ მას თანხმობად მიუჩნევია. ახსნა-განმარტების მიცემა ზედმეტი იყო. მშვიდად გამოვწიე სახლისკენ. ჩემდა უნებურად რა კარგი ოინი გამომივიდა. — ვფიქრობდი გზადაგზა და გუნებაში შევიცნებოდა. ვერ გეტყვით, რომ ისიც ასეთივე გუნებაზე დავტოვე.







ჩინოვნიკის ბაღი

პატარა კაციც კაცია  
დიდი საქმის და აზრისა,  
მაგრამ ამდენმა საქმემან  
კაცი კინალამ გასრისა!



სანიშნო მშობელი

— როგორც ვხედავ, შენ არც ახლა მეცადინეობ. ბოლოხდაბოლოს ხომ არ გინდა ცუდი საქმე ჩავიდინო,—გავიგებ ხად იმყოფება შენი სასწავლებელი. ვინ გასწავლის და სუყველაფერს გამოვააშკარავებ!

არ ვიცით რატომ არის ასეთი „საწყალი“ ი. ლარიბაშვილი. იმიტომ, რომ მისი გვარი სიღარიბის შესახებ ლაღებდეს, თუ იმის გამო, რომ პროფესია აძლევს ამის მიზეზს: იგი ექსპერტი-ბუხჩალტერია და მის ანგარიშიანობას ძალიან ხშირად ექვემდებარება ისეთი „საცოდავი“ კაცის საქმე, რომელსაც ასე, ან ასზე მეტი ათასი მანეთის ცოდვა ადევს და ოცწლიან ციხეს ეპოტინება.

არ ვიცი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ამ საქმის გამო-რკვევა საგამომძიებლო ორგანოებს ეხება და აქაც არ ვიცით, გვარის გამო იცოდებენ ლარიბაშვილს, თუ პროფესიული უცოდინარობის გამო.

„საქვაქრობის“ თბილისის განყოფილების საწყობის გამგეს ნ. ჭრიკაშვილს რევიზია ესტუმრა. მასპინძლობის ღირსი ამავე საწყობის ბუხჩალტერი ვ. ბლიაძეც გახდა, მაგრამ სტუმრები იმდენად გულქვები გამოდგნენ, რომ „ჩოთქის“ ჩხაკუნო მანამდე არ გაათავეს, ვიდრე მასპინძლებს 90.000 მან. გაფლანგვა არ აღმოუჩინეს.

დაიწერა ოქმი, გამოიწერა ორდერი, ოქმი სასამართლოს გადაეცა, ორდერი—მილიციას. ჭრიკაშვილმა და ბლიაძემ რკინის ჩარჩოში გამოყვეს თავი, მათ საქმეში კი—ექსპერტმა-ბუხჩალტერმა ლარიბაშვილმა.

ცოდვით კინალამ დაიწვა საწყალი ლარიბაშვილი. ორი „ანგელოსი“ ხომ ილუპებოდა და ილუპებოდა. ამას გარდა ოთხი „პატიოსანი“ კაციც მათ მიყვებოდა უკან და რა ცრემლი გაჩერდებოდა ლარიბაშვილის თკალთა უბეში!

საქმე რომ ცრემლით რიგიანად დააღბო ექსპერტმა-ბუხჩალტერმა,—სასამართლოს გადასცა და ვაი-ვიშით თვითონაც თან მიყვა.

— რას იტყვით, პატივცემულო ექსპერტო, ჭრიკაშვილ-ბლიაძის საქმეზე?—ჰკითხეს „საწყალ“ ლარიბაშვილს.

— საქმეზეო, თქვენ მეკითხებით, ბატონო მოსამართლენო? ვაი, ჩემო დღეო! აქ არავითარ საქმესთან არა გვაქვს საქმე. ჭრიკაშვილის გაფლანგვა ძალზე გაბერილია და ბლიაძე ხომ, ხუთას მანეთიანი ბუხჩალტერია და როგორ შეიძლება პასუხი მოეთხოვოს!..

საბუთების გადასინჯვას შეუდგნენ. გასინჯეს, გამოსინჯეს, გაიანგარიშეს, გამოიანგარიშეს და „აღმოჩნდა“, რომ ჭრიკაშვილის გაფლანგვა ათეული ათასებით ნაკლები იყო. საქმე ძირფესვიანად იცვლებოდა, მაგრამ პირველმა მბრალდებელმა რევიზორმა ჯიბიდან გამადიდებელი შუშა ამოიღო, ციფრებს დაუმიზნა და იქვე გამოირკვა, რომ 715-ს წინ ერთიანი ჰქონდა ჩამატებული—1715 იყო გადაკეთებული. გაარკვიეს, გამოარკვიეს, გამადიდებელმა შუშამ დაპატარავებული დიდი დანაშაული კვლავ გაადიდა და ჭრიკაშვილს ოცი წლის ციხე მიუსაჯეს, ბლიაძეს კი—ათის.

ლარიბაშვილი კი კვლავ ცრემლებს ღვრის, ხელთ ცხვირსახოცი უპყრია და ახლა სხვების საქმეებს (მათ შორის საწყობის ყოფილ გამგის რ. გრიგორიანის საქმესაც) გულამოსკვნილი დასტირის.

მაგრამ იმისათვის, რომ საწყალი გული გქონდეს, უსათუოდ ლარიბაშვილობა არ ყოფილა საქირო. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ლარიბაშვილს არავინ შეიცოდებდა.





ნახ. გ. ფიცხალავანი

**გამოსვლის რამს**

- ასე უდარდელად რომ დაღიხარ, უკვე ჩააბარე?
- შე კი არა, მამაჩემმა ჩააბარა... ცნობა ჩემი ავადმყოფობის შესახებ და გამოცდებისაგან თავისუფალი გახლავარ!

**სასაცილო წვრილმანები**

**კრივის სკოლა**

**ზუგდიდში**, „საქვაკრობის“ № 5 სასადილოს ტერიტორიაზე ამავე სასადილოს გამგემ დურუბია მხეიძემ გახსნა კრივის კურსები. კურსების მთავარი მწვრთნელია თვითონ დურუბია. სავარჯიშო ბალიშად კი იყენებს მებუფეტე ვ. სხულუხიას ცხვირ-პირს. მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს.

**მუშტმონვედრილი**

**კატა და ვეშაპი**

**ქ. მახარაძის** რკინიგზის სადგურის საბარგო საწყობში მომრავლებულმა ნამდვილმა ოთხფეხა ვირთხებმა გადაწყვიტეს დაიკვირონ სადგურის უფროსის კატა და დაავალონ ეჟვანი შეაბას პატრონს. მორღნელთა აღშფოთების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელმა (სადგურის უფროსმა) ვირთხებს შესაქმელად არ დაანება საბარგო განყოფილების გამგის სამუშაო მაგიდა.

**მეისრე**

**პატივცემულ ნიანგო!**

**წულუკიძის** რაიონის სოფელ **მათხოჯის** მცხოვრებთ ყველაზე მეტად გვიყვარდა ანდაზა: „ვინცრა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. გვიყვარდა და კიდევაც ვამბობდით, მაგრამ ერთ-მა უცნაურმა გარემოებამ აგვიკრძალა ამ ანდაზის თქმა. საქმე იმაშია. რომ სოფლის სამი წისქვილის სათავე გასულ წელს ნიაღვარმა წაღეკა და წისქვილები დღემდე უქმად დგანან. მათხოჯელი მესაფქველები რვა კილომეტრის მანძილზე დადიან ზურგზე საფქვემოკიდებულები და ხან წისქვილის ოფიციალური პატრონის მიმართ ამბობენ საყვედურს, ხან კი — მინდის წამლებზე. მინდის წამლები ორგანიზაცია და წისქვილის პატრონი ერთი-მეორეს ეჯიბრება და წისქვილებმა კი შეჯიბრების უნარი დაკარგეს.

იქნებ შენ მაინც გვითხრა, პატივცემულო ნიანგო, როდემდის უნდა ეჯიბრებოდეს ერთმანეთს მათხოჯის წისქვილების მემინდევ-მეპატრონე. მათ ხომ სჯერათ, რომ მათხოჯელობა დანაშაული არ არის?

**მათხოჯელი**

რედაქტორი **კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე**. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилис. Сатирико-юмористический журнал „Ниагги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 28/V. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1129. გამოც. № 10, ტირ. 11.000. უკ00435





ინფორმაციის კომპანია

ნახ. ა. ბანტელაძისა

— რა გვეუბნება, ჯონ, უსაქმოდ ვრჩებით, ირანელებმა თავისი ნავთი მიიტვიცეს!  
— არის გამოსავალი, სერ. ჩვენს მთავრობასთან და იმ ნავთთან ერთად ჩვენც ამერიკელების სამსახურში შევიდეთ.